საქართველოს დიდი კედელი

კლასი IV

ტექსტის ტიპი – მხატვრული (თხრობითი)

ფრენსის მორგანის მოთხრობის
„ტომი და დიდი კედლის“ მიხედვით

ეს მასალა შეიქმნა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებითა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, USAID საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით. მასალა მომზადებულია USAID საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) ფარგლებში შექმნილი რესურსების საფუძველზე.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

RTI INTERNATIONAL

საქართველოს დიდი კედელი

ფრენსის მორგანის მოთხრობის
„ტომი და დიდი კედლის“ მიხედვით

გუგა, ნანა, მაია და ლევანი პარკში გრძელ ლურჯ სკამზე ისხდნენ. ნანა ბავშვებს უყვებოდა, რომ დედამისმა წერილი მიიღო თავისი ჩინელი მეგობრისგან. წერილს რამდენიმე ოჯახური ფოტოც მოჰყვა. ფოტოები უზარმაზარი გალავნის ფონზე იყო გადაღებული.

– ეს ჩინეთის დიდი კედელია, – უხსნიდა ბავშვებს ნანა. – ჩინეთის დიდი კედელი 2000 წლის წინ ააშენეს.

ამ კედელს ჩინურად ვან-ლი კანგ-კენი ჰქვია. ეს „10000 ლის სიგრძის კედელს“ ნიშნავს. 10000 ლი, დაახლოებით, 5000 კილომეტრს უდრის. მაგრამ კედელი სინამდვილეში 7200 კილომეტრის სიგრძისაა.

– ჩემმა მასწავლებელმა გვიამბო ჩინეთის დიდი კედლის შესახებ, – თქვა ლევანმა. – იმ სიგრძეა, რომ ხუთი ასეთი კედელი თურმე მთელ დედამიწას შემოსწვდება გარშემო.

– მართლაც საოცარი კედელია, – თქვა გუგამ. – რა საინტერესო იქნებოდა მისი ნახვა, არა?

– მე ერთ თვეში ვნახავ ამ კედელს, – თქვა ნანამ. – დედიკოს მეგობარმა დაგვპატიჟა პეკინში. თან შეგვპირდა, დიდ კედელს ერთად დავათვალიერებთო. იქ სურათებს გადავიღებ და გამოგიგზავნით.

– ნეტავ, მეც შემეძლოს ამ კედლის ნახვა, – თქვა გუგამ. – მაგრამ არ მგონია, რომ ჩინეთში წასვლა მოვახერხო.

– გუგა, იმედია, შენც წახვალ ჩინეთში, – გაამხნევა მეგობარი მაიამ. – მაგრამ დიდი კედლის ნახვა საქართველოშიც შეგიძლია.

– მართლა? ჩვენთანაც არის დიდი კედელი? – იკითხა გუგამ.

– როგორ არა, – თქვა მაიამ. – სიღნაღის გალავანი. მართალია, ჩინეთის კედელივით ძველი და გრძელი არ არის, მაგრამ ისიც მტრისგან დასაცავად ააშენეს.

– სიამოვნებით ვნახავდი და სურათებსაც გადავიღებდი, – თქვა ნანამ. – მინდა, ჩინელ მასპინძლებს ვუთხრა, რომ ჩვენც გვაქვს მსგავსი ნაგებობა!

– მამაჩემი ხშირად დადის კახეთში. ვთხოვ, რომ წაგვიყვანოს, – თქვა მაიამ.

მომდევნო კვირა დღეს ბავშვები მაიას ეზოში შეიკრიბნენ. მაიას მამის მანქანაში ჩასხდნენ და ქალაქ სიღნაღისკენ გაემგზავრნენ. მაიას პატარა დაიკო და ძაღლიც თან წაიყვანეს.

– კედლის შესახებ ინტერნეტში ცნობები მოვძებნე, – თქვა მაიამ. – იქ წერია, რომ სიღნაღის ტერიტორიაზე ადამიანი უძველესი დროიდან ცხოვრობს. მე-18 საუკუნეში მეფე ერეკლემ მტრისგან დასაცავად ქალაქს გარშემო გალავანი აუშენა. მისი სიგრძე, დაახლოებით, 4 კილომეტრია. გალავანს 23 კოშკი აქვს. ამ კოშკებიდან ჯარისკაცები მტერს უთვალთვალებდნენ.

– კედელზე ასვლას შევძლებთ? – იკითხა გუგამ.

– რასაკვირველია, – თქვა მაიამ. – უკვე მალე ჩავალთ და გალავანზეც ავძვრებით.

გუგას მანქანის უკანა სკამზე ჩაეძინა. როცა ლევანმა გააღვიძა, სიღნაღის გალავანი უკვე კარგად მოჩანდა. ის მართლაც ჰგავდა ჩინეთის დიდ კედელს!

როგორც კი მანქანა გაჩერდა, გუგამ კარი გააღო, გადმოხტა და უახლოეს კოშკთან მიირბინა. ბავშვებიც დაედევნენ და სწრაფად აძვრნენ გალავნის თავზე.

უცებ დაბლიდან ყვირილი მოესმათ. გუგა გალავნის კიდესთან მივიდა და ქვემოთ გადაიხედა.

კედლის მახლობლად, ბუჩქებიდან ასობით მეომარი გამოდიოდა. მათ შუბები ეჭირათ და გრძელი კიბეები მოჰქონდათ.

– შეუძლებელია, – დაიძახა გუგამ. – ასეთი რამ აღარ ხდება! არადა, მგონი, ეს ჯარისკაცები აპირებენ თავს დაგვესხან!

შემდეგ კოშკს გახედა და სამი მეომარი შეამჩნია. ისინი ქონგურებთან იდგნენ და კედელს მომდგარ მტერს ისრებს უშენდნენ.

გუგამ ისიც კი გაიფიქრა, იქნებ ჯერ არც გამღვიძებია და ისევ სიზმარში ვარო. ვერაფრით მიმხვდარიყო, რა ხდებოდა მათ თავს. რატომ მოადგნენ ჯარისკაცები მშვიდობიან სიღნაღს? რატომ აპირებდნენ გალავნის თავზე ამოსვლას?

ამასობაში მტრის ჯარისკაცებმა გალავანს მიაღწიეს და გრძელი კიბეები კედელს მიაყუდეს. სულ მალე უამრავმა მეომარმა ზემოთ ამოცოცება დაიწყო. კოშკებიდან მათ ისრებს უშენდნენ.

– გალავანზე თუ ამოაღწიეს, მერე ქალაქშიც შემოიჭრებიან! – დაიძახა ლევანმა.

– ჩვენც დაგვატყვევებენ! – იყვირა გუგამ.

გუგა და ლევანი მათგან ყველაზე ახლოს მობჯენილ კიბეს მისცვივდნენ, აქეთ-იქიდან დაებღაუჭნენ და ძლიერად მიაწვნენ. მაიამ და ნანამაც მეორე კიბესთან მიირბინეს და მათაც იგივე გააკეთეს.

კოშკში მყოფმა მეომრებმა იარაღი დაუშვეს და გაოცებით მიაცქერდნენ ბავშვებს.



– შეწყვიტეთ, შეწყვიტეთ! რა ხდება? ვინ არიან ეს ბავშვები? – გაისმა ქვემოდან. ყველა გაშეშდა.

კოშკის ძირას გაბრაზებული კაცი იდგა და ყვიროდა. დაბნეული ბავშვები გალავნიდან ჩამოვიდნენ, თან აქეთ-იქით იცქირებოდნენ. უცებ კედლის ძირას მდგარი კინოკამერები შენიშნეს.

როგორც ჩანს, ეს კაცი კინორეჟისორი იყო. ისე ყვიროდა, რომ სახე მთლად აუჭარხლდა.

– გვაპატიეთ, – უთხრა მას გუგამ. – არ ვიცოდით, რომ ფილმს იღებდით. ჩვენ მტრის შემოსევა გვეგონა.

მაგრამ რეჟისორი არ ცხრებოდა. ამ დროს მას მიუახლოვდა ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ხელში გადაშლილი ბლოკნოტი ეჭირა და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა.

რეჟისორი ცოტა დამშვიდდა. შემდეგ ბავშვებს მიუბრუნდა და უთხრა:

– თქვენ შეგიძლიათ, დაგვეხმაროთ. ჩემი ასისტენტი აგიხსნით, რა უნდა გააკეთოთ.

ბლოკნოტიანმა ქალმა ბავშვები გვერდით გაიხმო.

– ჩვენ მეტი ჯარისკაცი გვჭირდება კიბეებზე ასაცოცებლად. ამ როლს ხომ არ შეასრულებდით?

– ჩვენ რომ პატარები ვართ? – ჰკითხა გაკვირვებულმა მაიამ.

– თან მსახიობებიც არ ვართ, – დაამატა ლევანმა.

– ამაზე ნუ იდარდებთ, – უპასუხა რეჟისორის ასისტენტმა. – ახლო ხედით არ გადაგიღებთ. თანაც ისე გამოგაწყობთ, რომ ნამდვილ ჯარისკაცებს დაემსგავსებით.

ბავშვებმა ერთმანეთს გადახედეს. ფილმში თამაშის იდეა ძალიან მოეწონათ.

ბავშვები კოშკის ქვემოთ საგანგებოდ მოწყობილ ოთახში შეიყვანეს. ასისტენტმა მათ კოსტიუმები ჩამოურიგა. გრიმიორმა ბავშვებს სახეზე ფუნჯით გრიმი წაუსვა. მალე მზად იყვნენ ფილმში სათამაშოდ.

ბავშვები ჯგუფებში გადაანაწილეს. თითოეულ ჯგუფს თითო გრძელი კიბე ჰქონდა. ახალბედა მსახიობებს აუხსნეს, როგორ ამძვრალიყვნენ კიბეზე.



შემდეგ უნდა წარმოედგინათ, რომ ქონგურიდან ნასროლი ისარი მოხვდათ და ყვირილით გადმოვარდნილიყვნენ კიბიდან. თან ძალიან ფრთხილად უნდა ყოფილიყვნენ, რომ დაცემის დროს არაფერი სტკენოდათ.

რეჟისორის ნიშანზე მსახიობები კედლისკენ გაიქცნენ და გალავანზე აძრომა დაიწყეს.

გუგა და მისი მეგობრები სათითაოდ ჩამოცვივდნენ კიბიდან.

მიწაზე დაცემულმა გუგამ თავი წამოსწია და თვალებით მეგობრები მოძებნა. ისინი გაუნძრევლად იწვნენ მიწაზე.



– კმარა! – დაიძახა რეჟისორმა. – ამჯერად ძალიან მომეწონა. ყველამ შეისვენეთ.

საღამოვდებოდა. მაიას მამამ რეჟისორს უთხრა, რომ უკვე დრო იყო, ბავშვები შინ დაბრუნებულიყვნენ.

რეჟისორმა ბავშვებს მადლობა გადაუხადა ფილმში მონაწილეობისთვის და უთხრა, რომ გადაღების ფოტოებს ჩუქნიდა. ეს ფოტოები მათ სიღნაღის თავგადასავლის მოსაგონრად დარჩებოდათ.

ძალიან დაიღალნენ, მაგრამ მთელი გზა ენა არ გაუჩერებიათ. ისტორიული ნაგებობა ხომ ნახეს, თან მსახიობებიც გახდნენ! ასეთი რამ ვერც კი წარმოედგინათ! ბრწყინვალე დღე იყო!

– ჩინეთის დიდი კედლის ნახვა კარგი იქნება, მაგრამ არა მგონია, ისეთივე სახალისო გამოდგეს, როგორც საქართველოს კედლის მონახულება იყო, – თქვა ნანამ.

– მართალია, – დაეთანხმა ძილმორეული გუგა. – მაგარი დღე იყო!

ცნობები სიღნაღის შესახებ

- სიღნაღი ქიზიყის მხარეში მეფე ერეკლე II-მ ააგო მე-18 საუკუნეში ძველი ციხის ნანგრევებზე, რათა ლეკებისა და სპარსელების შემოტევების დროს მოსახლეობას აქ თავის შეფარება შესძლებოდა.
- კედლის სიგრძე დაახლოებით 4 კილომეტრია.
- 1770 წელს მეფე ერეკლემ სიღნაღი ქალაქების სიაში შეიტანა. გალავანს ჰქონდა 6 შესასვლელი, რომელ-თაგან თითოეული მისი მიმდებარე სოფლის სახელს ატარებდა. იმ დროს ციხე-სიმაგრეს ყველა ქიზიყელის დატევა შეეძლო.
- სიღნაღის გალავანი საქართველოს მნიშვნელოვან ისტორიულ ღირსშესანიშნაობად მიიჩნევა. დღეს კედელი თავისი პირვანდელი სახით არის აღდგენილი.

ცნობები ჩინეთის დიდი კედლის შესახებ

- ჩინეთის დიდი კედელი ადამიანის მიერ აშენებული ყველაზე გრძელი ნაგებობაა მსოფლიოში.
- დიდი კედელი ასწლეულების განმავლობაში ერთმანეთზე დაშენებული შედარებით მცირე კედლების ერთობლიობაა.
- პირველი კედლები ჩვ. წ. აღ-მდე მეშვიდე საუკუნეში ააგეს.
- უკანასკნელ კვლევებზე დაყრდნობით მეცნიერებმა განაცხადეს, რომ კედლის საერთო სიგრძე 21000 კმ-ია. შეადარეთ ეს რიცხვი დედამიწის გარშემოწერილობას, რომელიც 40000 კმ-ია.
- ჩინეთის დიდი კედლის მოხაზულობას ხშირად დრაკონს ამსგავსებდნენ. ჩინეთში დრაკონი გაზაფხულისა და სასიცოცხლო ძალების სიმბოლოა.

ეს მოთხრობა ადაპტირებულია საბავშვო წიგნიდან „ტომი
და დიდი კედელი“, რომლის ჩამოტვირთვა და ამობეჭდვა
შესაძლებელია მხოლოდ ინტერნეტ-საიტიდან:
www.learningpage.com.

იბეჭდება მხოლოდ არაკომერციული მიზნებით.